ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 105-1

ქ. ბათუმი **„ 01 “ „ივნისი“** 2026 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი **მარიამ ხაზარაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **კახა დიასამიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **მუხრან ჯორბენაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რე-სურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნინო კერვალიშვილი**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **გიორგი სურმანიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - **დავით კოპინაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი - **არჩილ გირკელიძე**

სხდომა გახსნა კომისიის (სხდომის) თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

კომისიის (სხდომის) თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **01.06.2026-ის № ბ 14. 14261529** ბრძანების შესაბამისად, საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს ბრძანებით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე **ღია და შიდა კონკურსის** ჩატარებას.

ასევე აღნიშნა რომ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

კომისიის (სხდომის) თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ვაკანტურ თანამდებობებზე **ღია და შიდა კონკურსი** ჩატარდეს **სამ** ეტაპად: ა) **გადარჩევა,** ბ) **ზეპირი დავალება,** გ) **გასაუბრება.**

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **01.06.2026-ის № ბ 14. 14261529** ბრძანებით განსა-ზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- **ღია და შიდა კონკურსი** <u>ჩატარდეს **სამ** ეტაპად:</u> ა) **გადარჩევა,** ბ) **ზეპირი დავალება,** გ) **გასაუბრება.**

ა) **პირველი ეტაპი - გადარჩევა,** წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის **ადამიანური რესურსების მართვის** განყოფილება;

ბ) **მეორე ეტაპი - ზეპირი დავალება,** რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა **საკონკურსო კომისია.**

გ) **მესამე ეტაპი - გასაუბრება,** რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა **საკონკურსო კომისია**.

<u>შენიშვნა: მეორე ეტაპი (ზეპირი დავალება) და მესამე ეტაპი (გასაუბრება) გაიმართოს ერთდროულად.</u>

2. კონკურსანტებისაგან განაცხადები (თანდართული დოკუმენტაცია) მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით - <u>www. vacancy.hr.gov.ge</u>, გამოქვეყნებიდან **5 კალენდარული დღის** განმავლობაში.

3. კონკურსანტის **(გარდა ქ. ბათუმის მუნიციპელიტეტის მერიის მოქმედი საჯარო მოხელეებისა)** განაცხადი არ განიხილება და იგი მოიხსნება კონკურსის **პირველი ეტაპიდან**, თუკი ვებ გვერდზე (<u>www. vacancy.hr.gov.ge</u>) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტებს, **კერძოდ:**

- შესაბამისი უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
- შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლს (იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება).

4. **კონკურსის** შემდგომ, **მეორე და მესამე ეტაპზე - ზეპირი დავალება /გასაუბრება**, (რომელიც ჩატარდება ერთდროულად), დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის, განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

5. საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.

6. <u>განისაზღვროს</u> კონკურსში <u>მონაწილე კონკურსანტთა შეფასების შემდეგი წესი და პირობები:</u>

-- კანდიდატის შეფასება განხორციელდეს: **ა) ზეპირი დავალების** მიცემით (სიტუაციური ამოცანა) და **ბ) გასაუბრებით** (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში).

-- **ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე** თითოეული კონკურსანტი, შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ გვერდზე, <u>www. vacancy.hr.gov.ge</u>-ზე, საჯარო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კომისიის წევრთა მიერ შეფასდება: **ა) ზეპირი დავალება - 10** ქულიანი სისტემით და **ბ) გასაუბრება 10** ქულიანი სისტემით. თითოეული კონკურსანტის საბოლოო (ინდივიდუალური) შეფასების მისაღებად გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისათვის დაწერილი (ინდივიდუალური) ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

-- **ზეპირ დავალებაში/გასაუბრებაში** კონკურსანტები შეფასდება, ამ ოქმზე თანდართული კონკურსანტის **შეფასების მეთოდოლოგიის** მიხედვით (**დანართი**). ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე, კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს **აუდიო/ვიდეო** ჩაწერა.

-- **<u>ზეპირი დავალების თემატიკა</u>** <u>განისაზღვროს</u> კონკრეტული საკონკურსო პოზიციის სამუშაო აღწერილობიდან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე. თითოეულ კანდიდატისათვის გამოყოფილია 10-15 წუთი. კონკურსანტს მიეცემა ერთიდან სამამდე ზეპირი დავალება.

-- **<u>გასაუბრების თემატიკა</u>** <u>განისაზღვროს</u> კანდიდატის კონკრეტული საკონკურსო პოზიციის სამუშაო აღწერილობიდან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე კომპეტენციებით და უნარებით. თითოეულ კანდიდატისათვის გამოყოფილია 10-15 წუთი და როგორც წესი დასმული კითხვების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით:

- ✓ **4** შეკითხვა - სამართლებრივი აქტებიდან;
- ✓ **3** შეკითხვა უნარებიდან;
- ✓ **3** დამატებითი შეკითხვა (საჭიროებისამებრ).

-- ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე დადებით შედეგად ჩაითვალოს: **ა) ზეპირი დავალება - არანაკლებ 5 ქულის** მიღება და **ბ) გასაუბრება - არანაკლებ 5 ქულის** მიღება. კანდიდატი, რომელიც დააგროვებს: **ზეპირი დავალება - 5 ქულაზე ნაკლებს**, ან/და **გასაუბრება - 5 ქულაზე ნაკლებს**, მიიღებს შეფასებას **„ვერ გადალახა“.**

-- ზეპირი დავალება/გასაუბრების პროცესის დაწყებამდე, რეგისტრაციის დროის განმავლობაში, (დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის **გამოუცხადებლობის** ან/და **დაგვიანების** შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე **არ ფასდება.**

-- კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით, გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს **უმაღლეს საერთო (ჯამურ) ქულას.**

-- იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარ ქულთა რაოდენობა დააგროვა ერთზე მეტმა კონკურსანტმა, გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის წევრების ღია კენჭისყრით, კომისიის დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

-- კონკურსანტებს ზეპირი დავალების/გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ დამატებით, გრაფიკის შესაბამისად.

7. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის **რომელიმე ეტაპზე** ვერცერთი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს/გადალახავს დაწესებულ პირობებს/ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი **ჩაშლილად** გამოცხადდეს.

8. კონკურსანტებს უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და **კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში,** კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს: კონკურსის ორგანიზებულად ჩატარება. კონკურსის გამოცხადებასთან და ამ ოქმით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება, მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და კომისიის გადაწყვეტილებების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.batumi.ge გამოქვეყნება.

---------- მარიამ ხაზარაძე

---------- ჯახა დიასამიძე ---------- მუხრან ჯორბენაძე

---------- ნინო კერვალიშვილი ---------- გიორგი სურმანიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ14. 14261529

თარიღი:01/06/2026

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია და შიდა კონკურსების გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე, 39-ე, 40-ე, და 41-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს **ღია** კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	საკონკურსო თანამდებობა	რაოდენობა
1	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
2	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
5	შიდა აუდიტის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

2. გამოცხადდეს **შიდა** კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**რაოდენობა**
1	მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სასელშეკრულებო მონიტორინგის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი,ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კანდიდატის შეფასების მეთოდოლოგია

დანართი

ზეპირი დავალება და **გასაუბრება** ფასდება **შეფასების კრიტერიუმებით** და მიენიჭება ქულა (1-დან 10-ის ჩათვლით) შეფასების ქულათა სისტემის კომპონენტებით (ცხრილი №1; ცხრილი №2;) რომლითაც დგინდება დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობა

ზეპირი დავალების (სიტუაციური ამოცანა) **შეფასების კრიტერიუმები:**

დავალების სწორად გაგება და გააზრება;
შესრულების თანმიმდევრულობა და კონკრეტიკა;
არგუმენტაცია და კანონმდებლობის გამოყენება;
შესრულების დასაბუთება და დაცვა;
დავალების შესრულების ოპერატიულობა;

გასაუბრების (კომპეტენცია, უნარები) **შეფასების კრიტერიუმები:**

კანდიდატის კვალიფიკაციის პოზიციასთან შესაბამისობის დადგენა
ფუნქციების განხოციელებაზე პასუხისმგებლიანობა;
დისკუსიის, ანალიზის და დასკვნების დასაბუთების უნარი;
გამართული მსჯელობა და თავდაჯერებული საუბარი;
მოტივაცია, მერიის საქმიანობის პრინციპების გაზიარება

კანდიდატის შეფასება (ა) ზეპირი დავალება ბ) გასაუბრება) - ხდება კომისიის თითოეული წევრის მიერ შესაბამისი კრიტერიუმებით 10-ქულიანი შკალის კომპონენტებით (ცხრილი № 1; ცხრილი № 2) დ ა აისახება ცალ-ცალკე: **ა) ზეპირი დავალ**ება (1-10 ქულა) და **ბ) გასაუბრება** (1-10 ქულა).

თითოეულ კანდიდატის საბოლოო ქულა - განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ (მინიმუმ 5 ქულის) კანდიდატისათვის მინიჭებული ქულათა საშუალო მაჩვნებლით.

ცხრილი № 1

შეფასება	**ზოგადი დავალება** (სიტუაციური ამოცანა) - **შეფასების კომპონენტები**
1 ქულა	დავალება შესრულებული არ არის; კანდიდატმა ვერ გამოავლინა საკითხების ელემენტარული ცოდნა;
2 ქულა	პასუხი არასრული და არაზუსტია; გამოყენებული ტერმინოლოგია ძირითადად მცდარია და არაადეკვატური; საკითხის ცოდნის დონე დაბალია;
3 ქულა	დავალების შესრულება დაწყებულია არსებითი ხასიათის შეცდომებით; გამოირიცხა დავალებაზე შემდგომი მუშაობა და დავალების შესრულება; საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის დონე დაბალია;
4 ქულა	დავალება შესრულება არასრულია და დაუსაბუთებელი; შესრულების შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია; საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის დონე არადამაკმაყოფილებელია;
5 ქულა	დავალება შესრულებულია ნაწილობრივ და ხარვეზებით; დასაბუთება მწირია, არ ჩანს კანონმდებლობის სათანადოდ გამოყენება; სამსახურებრივ ინსტრუქციებს იცნობს ნაწილობრივ;
6 ქულა	შესრულება ზოგადი ხასიათისაა და შეკვეცილი; შესრულებისას დაშვებულია არაარსებითი ხასიათის უზუსტობები; საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია;
7 ქულა	გაანალიზებული და შესრულებულია დავალების ძირითადი ნაწილი; დავალების ანალიზი და მსჯელობა თანმიმდევრულია; იცნობს კანონმდებლობას საშუალო დონეზე და აკეთებს სწორ დასკვნებს;
8 ქულა	შესრულება არგუმენტირებულია და დასაბუთებულია; შეუძლია სათანადო მოსაზრების გაკეთება დ ა დაცვა; ადეკვატურად და გააზრებულად იყენებს კანონმდებლობას;
9 ქულა	დავალება კვალიფიციურად და სრულყოფილად შესრულდა; მსჯელობს და აანალიზებს არგუმენტირებულად და ლოგიკურად; საფუძვლიანად ფლობს და იყენებს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას;
10 ქულა	შესრულება ამომწურავი და იდეალურია; ლოგიკურად და დასაბუთებულად მსჯელობს და აყალიბებს დასკვნებს; სიღრმისეულად ფლობს და იყენებს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას;

ცხრილი № 2

შეფასება	**გასაუბრება** (კომპეტენცია, უნარები) - **შეფასების კომპონენტები**
1 ქულა	ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე; ვერ მონაწილეობს დისკუსიაში; კანდიდატის კვალიფიკაცია სრულიად არადამაკმაყოფილებელია.
2 ქულა	უჭირს დასმულ შეკითხვებზე პასუხი და აზრის ჩამოყალიბება; უჭირს დისკუსია, არ შეუძლია საკითხებზე მსჯელობა; კანდიდატის კვალიფიკაცია არადამაკმაყოფილებელია.
3 ქულა	კანდიდატს შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს დ ა ტერმინოლოგია არსებითად მცდარია; კანდიდატის კვალიფიკაციის დონე ძალიან დაბალია;
4 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები ნაკლოვანი და არაზუსტია; ვერ იყენებს კანონმდებლობას დ ა განმარტებები შეუსაბამოა; კანდიდატის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნებს;
5 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები შეკვეცილია, უჭირს ანალიზი; ნაწილობრივ იყენებს კანონმდებლობას დ ა განმარტებები არასათანადოა; ნაკლებად აქტიურია, მოსაზრებები და არგუმენტაცია არასრულია; კანდიდატის კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია;
6 ქულა	შეუძლია დასმულ კითხვებზე პასუხი, მაგრამ უჭირს მსჯელობა; შეუძლია აზრის გადმოცემა თ უ მცა დისკუსიისას არ აქტიურობს. კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალო დონისაა; უჭირს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების წარმოჩენა;
7 ქულა	გააზრებით პასუხობს დასმულ კითხვებს, ერთვება დისკუსიაში; მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია არგუმენტირება და აზრის დასაბუთება; კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალოზე მაღალი დონისაა; ვერ ახერხებს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების სრულ გამოყენებას;
8 ქულა	აანალიზებს, ასაბუთებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს; ერთვება დისკუსიაში, მსჯელობს ზუსტად და ლოგიკურად; იცის სამსახურებრივი ინსტრუქციებთან დაკავშირებული მასალა; შეუძლია კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება და წარმოჩენა;
9 ქულა	სრულად და კონკრეტულად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; შეუძლია თავის წარდგენა, დასკვნების ლოგიკური და არგუმენტაცია; აქტიურად ერთვება დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; ინიციატივიანი დ ა მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, შესაბამისი კანდიდატია;
10 ქულა	ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; აქტიურად ჩართულია დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; შეუძლია მოსაზრებების დასაბუთება და არგუმენტირებული დაცვა; შემოქმედებითი, ინიციატივიანი დ ა მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, იდეალური კანდიდატია;